

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №9

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N 65

22.08.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლები-ლუიზა ჯოგლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- ლუბა გოგოძე.

დღის წესრიგი

1. წინააღმდეგი-არ„ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: *ივანე მამფორია*

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: *მიხეილ სვანაძე*

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის ივლისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

4. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N 27 9 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის N გ-65. 65231305 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N 31.01.26.356 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 547 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 10 (ათი) წლის ვადით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3-ის მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“- სთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

8. „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.: მამუკა ნამიჭიშვილი

9. ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022-2023 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

10. სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 6 თვეში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვადასხვა პროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს.: მამუკა ნამიჭიშვილი

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 22 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთვარობის 2023 წლის 20 იანვრის N 116 განკარგულებაში 11 აგვისტოს N 1453 განკარგულებით შეტანილი ცვლილებისა და საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში კორექტირების შედეგად მიღებული შემოსავლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. კერძოდ, სპეციალური ტრანსფერი იზრდება 385,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 300,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 17365,5 ათასი ლარით, გადასახდელები 18637,1 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ლარის რედაქციით:

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის დადგენილების პროექტში, ცელიაკით დაავადებული ბავშვების დახმარება, თვეში 250 ლარის ოდენობით.

დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებულ „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N 4) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ცელიაკით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის ივლისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 აგვისტოს N65-65232132 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ივლისის თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 (შვიდასორმოცდაოთხი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 7440 (შვიდიათასოთხასორმოცი) ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N 27 9 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის N გ-65. 65231305 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე იქნა ეს ობიექტი გატანილი აუქციონზე და არ მოხდა მისი პრივატიზება. ახლა გადავწყვიტეთ ფასის დაწევა 200 000 ლარზე და გავიტანოთ აუქციონზე ახალი ფასით, რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

## წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა საწყისი ფასებით:

1. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ არსებული 31 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.402), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი
2. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 273 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.534), საწყისი საპრივატიზებო საფასური 6850 (ექვსი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი
3. ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩის მიმდებარე არსებული 680 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.23.224), საწყისი საპრივატიზებო საფასური 17000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარი,
4. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოში მდებარე 1320 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.21.754), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1300 (ათას სამასი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე N 31.01.26.356 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 547 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 10 (ათი) წლის ვადით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ნაკვეთზე, დაინტერესებულ პირს, უნდა გააკეთოს ბავშვებისთვის გასართობი ატრაქციონი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3-ის მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“- სთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ს/ს „სილქნეტი“ ითხოვს ხუთი წლით ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3-ის მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე. ქირის წლიური რაოდენობა ერთ ერთეულზე 50 (ორმოცდაათი) ლარი. რაზეც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული პროექტების განხორციელების შემდეგ სოფლების ზეინდარი და შუაგორას მიღებული აქვს ეკონომიები. შესაბამისად, შემცირდა საწყისი ღირებულებები. აგრეთვე,

სოფლის მხარდაშერის პროგრამით გათვალისწინებული წესების დაცვით განხორციელდა ახალი პროექტების შერჩვა /მითითებულია დანართი N2-ში/.

სოფ. შუაგორაში მიღებული ეკონომიის თანხით ფინანსდება იგივე პროექტი „გარე განათების მოწყობა ჭელიძეების უბანში /მეორე ეტაპი/“.

სოფ. ზეინდარში დაფინანსდა ახალი პროექტი: „მასალების შექმნა“

წარმოდგენილია დანართი N1 და N2 ცვლილებების გათვალისწინებით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022-2023 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ამ 2022-2023 სასწავლო -სააღმზრდელო პროცესი დაიწყო 2022 წლის 19 სექტემბერს 550 აღსაზრდელით. ს/ბაღებში ჩარიცხულ ბავშვთა საერთო რაოდენობა შეადგენს 662-ს. სააღმზრდელო პროცესი დაიწყო ახალი კვების მენიუთი. გაიზარდა მოთხოვნადი და ბავშვთა კვებისთვის აუცილებელი პროდუქტების საქ.ხორცის, ქათმის ფილეს და ყველის ნორმები (დაცულია ნორმის სტანდარტი). სწავლის დაწყებამდე ს/ბაღებს გადაეცათ საჭირო სამზარეულო ჭურჭელი. 25-ვე ს/ბაღში ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული საშემოდგომო შიდა აქტივობები.

ყველა ს/ბაღის თანამშრომლისთვის მოეწყო სამ დღიანი ტრენინგი. ტრენინგზე განხილული იქნა HACCP-ის პროგრამის ყველა დეტალი, ზუსტად ინფორმირებისთვის და ს/ბაღებში პროგრამის სწორად განსახორციელებლად. 2022 წლის დეკემბრის თვეში 500 აღსაზრდელზე გამოცხადდა 2023 წლის (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) კვების პროდუქტებზე ტენდერი, 256,309 და 70 ლარის ოდენობით (ორასორმოცდათექვსმეტიათას სამას ცხრა ლარი და სამოცდაათი თეთრი). შესყიდვების კორდინატორის მიერ გამოცხადებული ტენდერები წარმატებით დასრულდა.



2022 წლის ბიუჯეტი 2,050,000 ლარს შეადგენდა. აქედან 12 თვის ფაქტია 2039,4 ლარი, რაც გეგმის შესრულების მაჩვენებელი 99,5 % -ია.

2023 წლის 23 იანვარს განახლდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ვანის მუნიციპალიტეტის 25-ვე საბავშვო ბაღში.

2023 წელს ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი დაამთავრა 194 აღსაზრდელმა, მათ საჩუქრად გადაეცათ სასკოლო-საკანცელარიო ნივთების პაკეტი, 4435,30 ლარის ოდენობით. (ოთხიათას ოთხას ოცდათხუთმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი).

2023 წლის ბიუჯეტი 2,500,000 ლარს შეადგენს. აქედან 6 თვის ფაქტია 1,324.900 ლარი, რაც გეგმის შესრულების მაჩვენებელი 53,0 % -ია.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, მათ ინფორმაციის სახით მოისმინეს(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022-2023 სასწავლო წლის შეჯამება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილა წარმოადგინა სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 6 თვეში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვადასხვა პროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 6 თვის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 202 პროექტი, ლოკაციათა მიხედვით 209. საერთო ღირებულებით 5 346 781 ლარი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 4 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 10 პროექტი, 17 ლოკაცია. სამუშაოთა განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 695 099 ლარი, თანადაფინანსებაა არ განხორციელებულა. დასრულებულია ათივე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.
2. სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მთავრობის მიერ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გამოიყო 965 829 ლარი. მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისთვის დაფინანსდა: სახელმწიფო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები და საერთო ბინები.
3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 76 პროექტში, რგპფ-ის ფონდის მიერ პროგრამა დაფინანსდა 580 000 ლარით. თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 71700 ლარი. დაკონტრაქტებულია 75 პროექტი. დასრულებულია 19 პროექტი.
4. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 2 პროექტი, ღირებულებით 34 153 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად სამსახური მუშაობს მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა პროგრამების მიხედვით შემოსული განცხადებების მომსახურებაზე.

1. საანგარიშო პერიოდში /6 თვე/ დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 167 განცხადება. მათგან: ფინანსური დახმარება გაეწია 10 ოჯახს თანხით 17 000 ლარი, ხოლო სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 109 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი სახლისთვის გადახურვის შესაბამისი სამშენებლო მასალა, 17 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში. გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 75 ოჯახი.
2. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისთვის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 2 თანხმობის წერილი და 16 სანებართვო მოწმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, მათ ინფორმაციის სახით მოისმინეს სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 6 თვეში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვადასხვა პროგრამების შესრულების შესახებ.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 23 აგვისტოს საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი.  
(დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე